შეთანხმების აქტი N11/31-1

25.11.2016 წლის N11/31 ხელშეკრულებაში ცვლილებისა და დამატებების შესახებ

ქ. თბილისი **27 მარტი 2017 წელი**

ერთი მხრივ,
საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო
წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის - **თეიმურაზ მღებრიშვილის** სახით,
მის: ქ. თბილისი, სანდრო ეულის ქ. N3
საიდენტიფიკაციო კოდი: 204564934
სახელმწიფო ხაზინა კოდი: 220101222
ანგარიშის N: 200122900;
(შემდგომში „შემსყიდველი")

და მეორე მხრივ
შპს „ჩიჩუების სამედიცინო ცენტრი მზერა"
წარმოდგენილი დირექტორის - **ალექსანდრე ჩიჩუას** სახით,
მის: საქართველო, ქ. თბილისი, ისნის რაიონი, წინანდლის ქ.9
ტელ: +995 555 56 55 88; +995 599 56 55 88
საიდენტიფიკაციო კოდი: 206120730
საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ანგარიში: GE58TB7286936020100002
(შემდგომში „მიმწოდებელი")

2016 წლის 25 ნოემბერს გაფორმებული N11/31 ხელშეკრულების მე-13 მუხლის 13.1 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, 2017 წლის 20 მარტის MOC 2 17 00209550 მოხსენებითი ბარათისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" მე-13 მუხლის და სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის საფუძველზე ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შევიდეს ცვლილება 2016 წლის 25 ნოემბერს გაფორმებულ N11/31 ხელშეკრულების მე-16 მუხლში ***„მხარეთა რეკვიზიტები"*** და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   ერთი მხრივ,
   საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო
   წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის - **თეიმურაზ მღებრიშვილის** სახით,
   მის: ქ. თბილისი, სანდრო ეულის ქ. N3
   საიდენტიფიკაციო კოდი: 204564934
   სახელმწიფო ხაზინა კოდი: 220101222
   ანგარიშის N: 200122900;
   (შემდგომში „შემსყიდველი")
2. 2017 წლის 27 მარტიდან შეწყდეს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსა და შპს „ჩიჩუების სამედიცინო ცენტრი მზერა"-ს შორის (ბრალდებულთა/მსჯავრდებულთათვის გადაუდებელი სტაციონარული და გადაუდებელი ამბულატორიული მკურნალობისათვის საჭირო მომსახურების გაწევის შესყიდვა) 2016 წლის 25 ნოემბერს გაფორმებული N11/31 ხელშეკრულება.
3. ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებაში მოცემული ყველა სხვა პირობა დარჩეს უცვლელი.
4. შეთანხმება ძალაშია მითითებული თარიღიდან, წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში.
5. შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

წინადებარე „შეთანხმების აქტი" წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების გათვალისწინებით.

„შემსყიდველი"
საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

„მიმწოდებელი"
შპს „ჩიჩუების სამედიცინო ცენტრი მზერა"

თეიმურაზ მღებრიშვილი

ალექსანდრე ჩიჩუა

MOC 2 17 00209550

20/03/2017

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის მოადგილეს,
ბატონ თეიმურაზ მღებრიშვილს

სამედიცინო დეპარტამენტის უფროსის,
თამთა დემურიშვილის

მოხსენებითი **ბარათი**

ბატონო თეიმურაზ,

როგორც თქვენთვის ცნობილია, ბრალდებულთათვის/მსჯავრდებულთათვის სრულფასოვანი სამედიცინო მომსახურების გაწევის მიზნით საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსა და სამოქალაქო სექტორის სამედიცინო დაწესებულებებს შორის გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულებები. აღნიშნულ სამედიცინო დაწესებულებებთან 2016 წლის განმავლობაში გაფორმებული გრძელვადიანი ხელშეკრულებების შესაბამისად, სამოქალაქო სექტორის კლინიკებთან შეჯერებული ინფორმაციის საფუძველზე, წარმოგიდგენთ ხელშეკრულებებიდან ათვისებული თანხებისა და დარჩენილი ნაშთების შესახებ ინფორმაციას ცხრილის სახით.

გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურს გაატაროს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები.

პატივისცემით,

ცენტრალური აპარატი / სამედიცინო დეპარტამენტი
უფროსი
დემურიშვილი თამთა